



## განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით  
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების  
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ  
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

18 აპრილი 2022 წ.



## დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

სახელი: ნინო

გვარი: მესხიშვილი



### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192

### ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება <sup>1</sup>	სამართალი
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე <sup>2</sup>	მე-6
4	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით <sup>3</sup>	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) <sup>4</sup>	0421 სამართალი
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი <sup>5</sup>	კოსტავას გამზ. 77, VI კორპუსი, 01721, თბილისი, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 25 მარტი N285795
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 11 მარტი

<sup>1</sup>დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

<sup>2</sup>ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

<sup>3</sup>მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

<sup>4</sup>განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

<sup>5</sup>ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 11 მარტი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 13 მარტი

**საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება**  
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის სავსების შედეგების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			



## შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი<sup>6</sup>

1. რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა ლიტერატურის განახლებისა და ნორმატიული მასალის კონკრეტიზაციის მიზნით;
2. მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის „დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები“ სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები“;
3. რეკომენდირებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში დაზუსტდეს პრაქტიკის გამვლელ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, რაც მნიშვნელოვანია პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში სტუდენტების გადანაწილებისა და პრაქტიკული კომპონენტების სწორი მენეჯმენტისთვის;
4. რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე“-ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>7</sup>

სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2021 წლის 25 მარტის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს იმავე საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის (შემდგომში „ანგარიში“) წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 2022 წლის 11 მარტი. დასტურდება, რომ უნივერსიტეტს ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით ვადის დაცვით - 2022 წლის 10 მარტს აქვს წარმოდგენილი.

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ „საბჭოს“ რეკომენდაციების შესრულების მიზნით, პროგრამის განვითარების ჯგუფისა და თვითშეფასების ჯგუფის მიერ, რომელიც შედგებოდა პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის ხარისხის

<sup>6</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

<sup>7</sup>საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და დამსაქმებლებისგან, განხორციელებულ იქნა რიგი ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებებით სასწავლო კურსების სილაბუსებში განხორციელდა ლიტერატურის განახლება და მოდიფიცირება. ასევე, დაწესებულებამ დამსაქმებლებთან მოლაპარაკებების საფუძველზე, მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დააკონკრეტა და განსაზღვრა სტუდენტთა რაოდენობები და შეისყიდა საკანონმდებლო ბაზა, რომელზეც წვდომა განისაზღვრა როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

უნივერსიტეტის ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საბჭოს რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია.



## რჩევები<sup>8</sup>

1. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ისეთი მექანიზმიც იქნება პროგრამაში გათვალისწინებული, როგორცაა უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მოზიდვა და მათი ჩართვა სწავლებასა და კვლევაში;
2. სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-დან იღებდეს უფრო მეტ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის;
3. სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს იმ სტუდენტების ინტერესები, რომლებიც უკვე B.2.2. დონეზე ფლობენ უცხო ენას და ამ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნულ დონეზე უცხოური ენის ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის (ენის ცოდნის შესაბამისი დონის სერტიფიკატი ანუ უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი) წარდგენის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ უცხო ენის სავალდებულო 4 სასწავლო კურსის სწავლებისაგან. ამ შემთხვევაში სტუდენტები სავალდებულო წესით გაივლიან მხოლოდ პროფესიული უცხო ენის სასწავლო კურსებს (ჯამში 10 კრედიტის მოცულობით), ხოლო უცხოური ენის კომპონენტის დარჩენილი 22 კრედიტის ათვისების შესაძლებლობა ექნებათ პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების გავლით. ამასთან, ამ შემთხვევაში, ასევე, სასურველია, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნული 22 კრედიტი, მათი სურვილის შემთხვევაში, დააგროვონ სხვა უცხოენის შესწავლის ხარჯზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი გათვალისწინებული უნდა იქნას უცხო ენის შესწავლის დაწყება საწყისი A1 დონიდან;
4. სასურველია, უსდ-მ დანერგოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მოქნილი მექანიზმი, მოახდინოს აღნიშნული მექანიზმის სასწავლო პროცესში ინტეგრირება და აღნიშნულის შესახებ სტუდენტთა ინფორმირება;

---

<sup>8</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)





5. სტუდენტის მიერ უცხოური სამეცნიერო წყაროების კვლევით პროცესში ფართოდ გამოყენების მიზნით, სასურველია უსდ-მ შეიძინოს სამართალის მიმართულების ისეთი აქტუალური რესურსები, როგორცაა [home.heinonline.org](http://home.heinonline.org) და [www.lexisnexis.com](http://www.lexisnexis.com) 5 აღნიშნული რესურსების შეძენა შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობით;
6. სასურველია აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში;
7. სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>9</sup>

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას რჩევების განხილვისა და გათვალისწინების შესახებ, რაც სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს.

#### დამატებითი ინფორმაცია<sup>10</sup>

უნივერსიტეტის მიერ არ მომხდარა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

#### რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ<sup>11</sup>

სტანდარტის დასახელება <sup>12</sup>	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება <sup>13</sup>	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია I <sup>14</sup>	რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა ლიტერატურის

<sup>9</sup>საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

<sup>10</sup>საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

<sup>11</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

<sup>12</sup>სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>13</sup>კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>14</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)





	<p>განახლებისა და ნორმატიული მასალის კონკრეტიზაციის მიზნით;</p>
<p>შეფასება</p>	<p>უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით დგინდება, რომ საბჭოს წინამდებარე რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია, კერძოდ, საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა და მოწვეულმა პესონალმა კომპეტენციის ფარგლებში განაახლა როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე ლიტერატურა ძირითადად 2019-2022 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომებით (სახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიები და სხვა).</p> <p>მაგალითად:</p> <p><b>1 სასწავლო კურსის სილაბუსი: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით</b> - სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში დამატებულია რელევანტური ექვსი ქართულენოვანი ლიტერატურა (2020, 2021 წლის);</p> <p><b>2 სასწავლო კურსის სილაბუსი: ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები</b> - სილაბუსის დამხმარე ლიტერატურის ნაწილში დამატებულია ხუთი ქართულენოვანი ნაშრომი (2020, 2021 წლის); ხოლო ძირითადში ორი ლიტერატურა (2020, 2021 წლის);</p> <p><b>3 სასწავლო კურსის სილაბუსი: სახელმწიკრულებო სამართალი</b> - სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში დამატებულია ორი ქართულენოვანი ლიტერატურა;</p> <p><b>4 სასწავლო კურსის სილაბუსი: მედია სამართალი</b> - სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში დამატებულია ოთხი ლიტერატურა;</p> <p><b>5 სასწავლო კურსის სილაბუსი: საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი</b> - სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში დამატებულია ორი ნაშრომი;</p> <p><b>6 სასწავლო კურსის სილაბუსი: პროფესიული ეთიკა</b> - სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში დამატებულია ერთი ნაშრომი;</p> <p><b>7 სასწავლო კურსის სილაბუსი: შრომის სამართალი</b> - სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში დამატებულია სამი ლიტერატურა;</p> <p><b>8 სასწავლო კურსის სილაბუსი: არასრულწლოვანთა მართმსაჯულება</b> - სილაბუსის დამხმარე ლიტერატურის ნაწილში დამატებულია ორი ლიტერატურა და ა.შ..</p>



	განახლება განხორციელდა ძირითადად ქართულენოვანი ლიტერატურით. შემოწმებულ იქნა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების ყველა შესაბამისი სილაბუსი და დგინდება რომ გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა <sup>15</sup> I	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსი (26 (ოცდაექვსი) ცალი).

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II <sup>16</sup>	მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის „დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები“ სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები“
შეფასება	უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული რეკომენდაცია და განხორციელდა სასწავლო კურსის სახელწოდების მოდიფიცირება, რის შედეგადაც სასწავლო კურსს დაერქვა „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები“. შესაბამისად საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა <sup>17</sup> II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	სასწავლო კურსის სილაბუსი „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები“.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული,

<sup>15</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>16</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>17</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია III <sup>18</sup>	რეკომენდირებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, დამსაქმებელთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში დაზუსტდეს პრაქტიკის გამვლელ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, რაც მნიშვნელოვანია პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში სტუდენტების გადანაწილებისა და პრაქტიკული კომპონენტების სწორი მენეჯმენტისთვის;
შეფასება	<p>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია, კერძოდ ყველა იმ დამსაქმებელთან, რომელთანაც ჰქონდა (სამართლის მიმართულებით) პრაქტიკის ხელშეკრულება, ორმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე და დამსაქმებელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანიური რესურსის გათვალისწინებით განსაზღვრა იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც გაივლიან დამსაქმებელთან პრაქტიკას. მაგალითად:</p> <p>2022 წლის 1 თებერვლის 4 წლიანი ხელშეკრულებით შპს „მარიამ კუბლაშვილთან“ - განსაზღვრულია რომ პრაქტიკას სემესტრულად გაივლის 10 სტუდენტი;</p> <p>2022 წლის 9 თებერვლის 4 წლიანი ხელშეკრულებით შპს „ფი ელ სი“-თან - განსაზღვრულია რომ პრაქტიკას სემესტრულად გაივლის 15 სტუდენტი;</p> <p>2022 წლის 3 თებერვლის 4 წლიანი ხელშეკრულებით ამხანაგობა „საქართველოს ადვოკატთა კოლეგიასთან“, განსაზღვრულია რომ ყოველ სემესტრულად პრაქტიკას გაივლის 5 სტუდენტი;</p> <p>2022 წლის 21 თებერვლის 4 წლიანი ხელშეკრულებით შპს „მამულაძის საადვოკატო ოფისი“, განსაზღვრულია რომ ყოველ სემესტრულად პრაქტიკას გაივლის 10 სტუდენტი;</p> <p>2022 წლის 25 იანვრის 4 წლიანი ხელშეკრულებით ადვოკატ ნათია ღვინიაშვილთან (სიითი # 7788) განსაზღვრულია რომ ყოველ სემესტრულად პრაქტიკას გაივლის 5 სტუდენტი;</p> <p>და ა.შ.</p> <p>შეფასებულ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულებები და დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.</p>

<sup>18</sup>საკანონმდებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



რჩევა <sup>19</sup> II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	დამსაქმებლებთან გაფორმებული პრაქტიკის ხელშეკრულებები (48 ცალი).

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3 მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია IV <sup>20</sup>	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე“-ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებლების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან.
შეფასება	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად, უნივერსიტეტმა შეისყიდა სსიპ - საკანონმდებლო მაცნესგან საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული სისტემატიზებული სახით ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურების სარგებლობის უფლება 101 (ას ერთი) მომხმარებელზე. ნებისმიერ აკადემიურ პერსონალს და სტუდენტს შეუძლია მომხმარებლის ანგარიშის მოთხოვნა დაწესებულების ბიბლიოთეკაში წერილობითი მიმართვით, რის შემდეგაც მათ ეძლევათ ტექნიკური უნივერსიტეტის ელ-ფოსტაზე მიზმიტ წვდომა არსებულ ბაზასთან. აღნიშნული რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია.
რჩევა <sup>21</sup> II	N/A
შეფასება	N/A

<sup>19</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>20</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>21</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



მტკიცებულებ(ებ)ა	2022 წლის 10 მარტის მიღება-ჩაბარების აქტი (საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სსიპ საკანონმდებლო მაცნეს შორის).
------------------	--

#### თანდართული დოკუმენტაცია<sup>22</sup>

- რეკომენდაციების შესრულების შესახებ უნივერსიტეტის ანგარიში და აღნიშნულ ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაცია
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 2 21 0000285667; 25.03.2021 წ.
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 4 21 0000285795; 25.03.2021 წ.

ექსპერტის ხელმოწერა

---

<sup>22</sup>თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა